

## სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №12

ქ.ქუთაისი

31 დეკემბერი 2013 წელი

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ 10' მუხლისა მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ერთის მხრივ თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერია, ქალაქის მერის მოვალეობის შემსრულებლის შოთა მურღულიას სახით, (უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი-მერის მოვალეობის შემსრულებლის წერილი №01-10674 31.12.13წ.; მისამართი: 4600, ქ.ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №3; ტელ: 24-54-54) (შემდგომში „შემსყიდველი“)

მეორეს მხრივ, შ.პ.ს „მეოხი“, (შემდგომში „მიმწოდებელი“) მისი დირექტორის ჯემალ კვერნაძის სახით, (მისამართი: ქ. ქუთაისი, ნიკეას ქ. №6, ტელ: 0 (431) 23 33 77)

ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

- 1.1 ქალაქ ქუთაისის ტერიტორიაზე სანიაღვრე ქსელის ექსპლოატაცია.
- 1.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ხარჯთაღრიცხვა თან ერთვის.
- 1.3 კლასიფიკატორის კოდი – 90640000

### 2. ხელშეკრულების ღირებულება

- 2.1 შესასრულებელი მომსახურების ჯამური ღირებულება შეადგენს 19232,54 (ცხრამეტიათას ორასოცდათორმეტი ლარი და ორმოცდათოთხმეტი თეთრი) ლარს.
- 2.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს მომსახურების წევასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

### 3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

- 3.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება) განხორციელდება თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერიის შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის მიერ.
- 3.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს „შემსყიდველი“, კონტროლის (ინსპექტირება) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ „შემსყიდველი“ კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით „შემსყიდველი“.
- 3.3 „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირება) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

### 4. მომსახურების გაწევის პირობები და ვადების

- 4.1 მომსახურების გაწევა განხორციელდება 2014 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 31 იანვრის ჩათვლით.
- 4.3 „მიმწოდებელი“ ვალდებულია მომსახურების გაწევა განხორციელოს ქალაქ ქუთაისის მერიის შესაბამისი სამსახურის ინსპექტირების ჯგუფის წევრების დავალების შესაბამისად.
- 4.4 „მიმწოდებელი“ ვალდებულია საგანგებო სიტუაციების დროს 24 საათიან რეჟიმში 3კვადეს მობილიზებული მუშა ჯგუფი.
- 4.5 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს მომსახურების პირობებში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

### 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

- 5.1 „შემსყიდველი“ შესყიდვის ობიექტის მიღებას მოახდენს, 2014 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 31 იანვრის ჩათვლით.
- 5.2 „შემსყიდველი“-ს მიერ გაწეული მომსახურება მიღებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტის დადასტურების შემდეგ.
- 5.3 ფაქტიურად შესყიდვის ობიექტის მიღების დამტკიცებას თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერიის შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის დადასტურების საფუძველზე ახორციელებს თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერი.



## 6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება განხორციელდება, „მიმწოდებლის“ წერილობითი მომართვის საფუძველზე

6.2 „მიმწოდებლის“ წერილობით მომართვას ანგარიშსწორების თაობაზე უნდა დაერთოს:

ა) ინსპექტირების ჯგუფის დასკვნა;

ბ) ფაქტიურად გაწეული მომსახურების დასახელება და ღირებულება;

გ) გაწეული მომსახურების შესაბამისად ამოწერილი დღგ-ს ანგარიშფაქტურა.

6.3. გაწეული მომსახურების ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარებში.

6.4 ანგარიშსწორება განხორციელდება გაწეული მომსახურების დადასტურებიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში.

## 7. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

7.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

7.2 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველი“ ორგანოზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

7.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

7.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს გონივრულ ვადაში მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

## 9. მხარეთა უფლება-მოვალეობები

9.1 „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:

- გასაწევი მომსახურების დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს „მიმწოდებლისგან“ მისთვის საჭირო ინფორმაცია

9.2 „შემსყიდველი“ ვალდებულია:

- უზრუნველყოს „მიმწოდებლი“-ს მიერ გაწეული მომსახურების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით.

9.3 „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია:

- მოსთხოვოს „შემსყიდველს“ გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

9.4 „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

- დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

## 10. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

10.1 გამოიყენება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია, რომელიც თან დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი და რომელიც ერთი თვით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას;

10.2 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, „მიმწოდებლი“-ს მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით შესაბამისი საბანკო გარანტია გამოიყენება ნებისმიერი

ზარალის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიაღება „შემსყიდველს“ „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების გამო;  
10.3 იმ შემთხვევაში, თუ „მიმწოდებელი“ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებას ან ხელშეკრულების მოქმედება შეწყდება „მიმწოდებლისაგან“ დამოუკიდებელი მიზეზებით, „შემსყიდველი“ ვალდებულია უზრუნველყოს გარანტიის დაუყოვნებლივ დაბრუნება.

### 11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 დაუძლეველი ძალის გარდა „მიმწოდებელი“-ს მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები:

- ხელშეკრულების თვითნებურად შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელი გადაიხდის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის 30%-ის ოდენობით.

11.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

11.3 იმ შემთხვევაში თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, „შემსყიდველს“ უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება;

11.4 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, „მიმწოდებელი“-ს დაჯარიმების შემთხვევაში, „შემსყიდველი“ იტოვებს უფლებას ფაქტიურად გაწეული მომსახურების ასანაზღაურებელი თანხიდან, საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგადასახადო ანგარიშსწორების ერთიან ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში.

12.5 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ ძირითადი ვალდებულებების შესრულებისადმი.

### 12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

12.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს დაუყოვნებლივ.

12.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

### 13. დაუძლეველი ძალა

13.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებლის შეუძლებლობის შესახებ.

13.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

13.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

### 14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

### 15. გადასახადები და დაბეგვრა

15.1 ადგილობრივი „მომწოდებელი“ პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.



## 16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება ძალაშია 2014 წლის 3 მარტამდე.

18.2 ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. 1 (ერთი) პირი „მიმწოდებელთან“ და 2 (ორი) პირი „შემსყიდველთან“.

## 17. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:

ქალაქ ქუთაისის მერია  
მის: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ. №3  
ს.ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“  
ქუთაისი ფილიალი  
ბ/კოდი: UGEBGE22  
ა/ა № 33033303  
ს/კოდი: 212721170  
ქალაქ ქუთაისის მერის  
მოვალეობის შემსრულებელი

შოთა მურდულია



მიმწოდებელი:

შ.პ.ს „მეობი“  
მის: ქ. ქუთაისი, ნიკეას ქ. №6  
ს.ს „ლიბერთი ბანკი“

ბ/კოდი: LBRTGE22  
ა/ა GE53LB0113111814410000  
ს/კ 212804722  
შ.პ.ს „მეობი“  
დირექტორი

ჯემალ კვერნაძე















4	ლუქსემბურგის ქვეს	8	3.5	28															
5	იმენდოვსკის ქვეს	4	3.5	14															
6	ბელონსკის ქვეს				1000 X0.3	300გ.													
7	ნხოზაძის ქვეს				800 X0.3	240გ.													
8	ნხოზაძის ქვეს 1 მუხარევე				600 X0.3	180გ.													
9	ავტოქარხნის მარჯვენა დახლება	14	3.5	49						2400	0.31		744						
10	ავტოქარხნის სახრეთ დახლება	12	3.5	42															
11	მუხეჯლიხევის ქვეს დახლება	18	3.5	63						2200	0.31		682						
12	მდინარეების კალაპოტის გაწმენდა																		
13	ბუკიას ქვეს დახლებაში ახალი პიტირევეს ხაზთან	4	3.5	14															
	სულ	85																	
	სულ ჯამი:																		13719.50
	ბედ. ხარჯი 10%																		1371.95
	ჯამი																		15091.45
	ბეჭდ. ფაერ 8%																		1207.32
	ჯამი																		16298.77
	დღგ 18%																		2933.78
	ჯამი																		19232.54

შპს "მეოხი"-ს დირექტორი:



ჯ. კვერცხაძე



